MES 3 23 0001667698

07/12/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;

მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;

გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;

ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;

პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;

მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;

მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;

ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;

ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;

შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

გვანცა ნინიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ცირა კეჟერაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლა
ლანა ფერაძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - თბილისის კლასიკური გიმნაზია
თამარ კაპანაძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხუმარის საჯარო სკოლა
ლილი გვარმიანი - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჰერეთის კარის საჯარო სკოლა
მარინე ნანდოშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო გომის საჯარო სკოლა
ეკატერინე კურტანიძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ არლის საჯარო სკოლა
მარო ჩხიტუნიძე - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ - ქალაქ მარნეულის N5 საჯარო სკოლა
ლელა ხარშილაძე - სკოლის დირექტორი

სსიპ- ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის N3 საჯარო სკოლა
თამარ გაგლოშვილი - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერ ტები):

სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლა
ა) ნინო თაბაგარი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნატო ოგანეზოვი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ეკატერინე მიქაუტაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ანა ანუშიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)
ე) ზურაბ ურიადმყოფელი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) სალომე არაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ხათუნა რუსიეშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) სოფიო ხვადაგიანი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ი) ნინელი ცერცვაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ვლადიმერ უშიკიშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნათია კოხოძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - თბილისის კლასიკური გიმნაზია
ა) გულნარა ხაბურზანია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამარ ხეჩიკაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) მარინე სეხნიაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ია სეხნიაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო მოლაშხია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ხათუნა ჯიმშიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ირმა შველიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მორის გუმბარიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მაკა ნატროშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ნანა ჩხიკვაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) მარინა ანესაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხუმარის საჯარო სკოლა
ა) ლიანა კობესაშვილი - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ლელა ბუბაშვილი - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნინო ბურჯალიანი - (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ლელა კაკაშვილი - (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)
ე) მარინა თავართქილაძე - (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნინო როსტომაშვილი - (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნანა ნოზაძე - (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნანა შალამბერიძე - (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) შაქრო ჟღენტი - (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ედუარდ ნაკაიძე - (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო ჭიჭინაძე - (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჰერეთის კარის საჯარო სკოლა
ა) ვერა ყურულაშვილი - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნიკოლოზ წულაია - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ლიანა ქოქიაშვილი - (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნიკოლოზ გურგენიძე - (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)
ე) სოფიკო მჭედლიშვილი - (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) მარიკა ბოცვაძე - (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ლაშა სარალიძე - (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) თამარ ოძელაშვილი - (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) თეონა აბრამიშვილი - (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) საბა დარსაველიძე - (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ლ) ლელა მანგოშვილი - (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო გომის საჯარო სკოლა

ა) ნატალია ბეიტრიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამარი დემეტრაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნანა შამუგია (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) კახა გალდავა (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნათია ქათამაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) სოფიო გელაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) თინათინ მარქარაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) თეონა შერაზადიშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) თამარი მურუსიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მარინა ანესაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნათია კურტანიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ არლის საჯარო სკოლა

ა) მარინე ჯანაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ირმა ხმელიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნინო ზაუტაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ზაზა მანია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ეთერი ხობუა (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნინო როსტომაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ხათუნა მარკოზაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) თეონა შერაზადიშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ხათუნა გერგაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) კობა დეკანაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ქეთევან ცირეკიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ მარნეულის N5 საჯარო სკოლა
ა) თამარ ხეჩიკაშვილი - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნინო ცინდელიანი - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) მაია ქევხიშვილი - (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მარიამ ლეკიაშვილი - (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)
ე) სოფიო მგალობლიშვილი - (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ხათუნა კალმახელიძე - (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მორის გუმბარიძე - (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნინო ჯახველაძე - (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ი) მზია დადვანი - (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ლია ნეფარიძე - (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) მაკა ნატროშვილი - (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის N3 საჯარო სკოლა
ა) თამარ აბაზაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნათია ფხალაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ლია ბოგვერაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ლელა კაკაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) თაია მამარდაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნატო შაინიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნანა ნოზაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) თამარ ოძელაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნინელი ცერცვაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ქობალია (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ლელა მანგოშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სხდომის დასაწყისში, საბჭოს თავმჯდომარის არ ყოფნის გამო, საბჭოს სხდომას წარუძღვა, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი.
საბჭოს სხდომა 2023 წლის 22 ნოემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - თბილისის კლასიკური გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

3. სსიპ - მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხუმარის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჰერეთისკარის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო გომის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ არლის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ქალაქ მარნეულის N5 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ- ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ - ქალაქ თბილისის №59 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
დღის წესრიგთან დაკავშირებით, ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს მიმართა შუამდგომლობით, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 ნოემბრის N1552694 სხდომის ოქმში ფიქსირდებოდა ტექნიკური შეცდომა და საჭიროებდა გასწორებას.
ასევე, სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის №59 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა ვერ მოხდებოდა მიმდინარე საბჭოს სხდომაზე, ვინაიდან საბჭოს, ტექნიკური ხარვეზის გამო არ ჰქონდა აღნიშნული სკოლის მასალებზე წვდომა. საბჭომ გაიზიარა აღნიშნული შუამდგომლობები და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 ნოემბრის N1552694 სხდომის ოქმში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხის განხილვა;
2. სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - თბილისის კლასიკური გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხუმარის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჰერეთისკარის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო გომის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ არლის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - ქალაქ მარნეულის N5 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 ნოემბრის N1552694 სხდომის ოქმში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხის განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს სხდომაზე განმარტა, რომ ფიქსირდებოდა ტექნიკური შეცდომა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 ნოემბრის N1552694 სხდომის ოქმში, კონკრეტულად კი ოქმის შესავალ ნაწილში, პუნქტი **4. ზოგ ადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები, სსიპ - ახალციხის მუნიციპა ლიტეტის ქალაქ ვალის N1 საჯარო სკოლის** საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ექსპერტად მითითებული იყო ნონა ხომასურიძე, მანანა ჯაყელის მაგივრად. მიზანშეწონილი იყო ცვლილება განხორციელებულიყო აღნიშნული ოქმის ზემოხსენებულ ნაწილში.
საბჭომ ერთხმად გაიზიარა აღნიშნული შუამდგომლობა.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 ნოემბრის N1552694 სხდომის ოქმში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 ნოემბრის N1552694 სხდომის ოქმში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

სსიპ - ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის ექსპერ ტები:
ა) დავით ჭეიშვილი - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
ბ) ეთერ მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
გ) მაია ფხაკაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
დ) მანანა ჯაყელი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ე) ლალი ლალიაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ვ) ნანა ჩარკვიანი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ზ) ხათუნა რუსიეშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
თ) ნატო კვეტენაძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ი) თამარი მურუსიძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
კ) მარინა ანესაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ლ) ნინო ჭიჭინაძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.“.

16:20 საათზე საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს თავმჯდომარე დავით მალაზონია

2. სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნინო თაბაგარმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 12 და 13 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა სოფელ სკრაში, 22-ე ქუჩა N11 -ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 300 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 300 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, ნინო თაბაგარმა აღნიშნა, რომ სკოლას რეაბილიტაცია ჩაუტარდა მილენიუმის პროექტის ფარგლებში.
ექსპერტმა განმარტა, რომ 1-ლი; მე-2; მე-3 და მე-4 სტანდარტები შეფასებული იყო როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა, კომპონენტები 1.2 (სკოლის დაგეგმვა და განვითარება) და 3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) შეფასებული იყო “მეტწილი” შესაბამისობით.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სკოლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა არაფორმალური განათლების გაძლიერებას, მშობელთა ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში და მოსწავლეთა ინიციატივების წახალისებას. გარდა ამისა, სკოლაში შექმნილი იყო სასკოლო კლუბები, რომლებშიც აქტიურად იყვნენ ჩართული მოსწავლეები. ექსპერტმა ხაზი გაუსვა სკოლის მიერ მოსწავლეთა ჯანსაღი ცხოვრების წესში აქტიურად ჩართვას და პოპულარიზაციას. ექსპერტმა, ასევე ხაზი გაუსვა კათედრების მჭიდრო თანამშრომლობას, რომელიც დასტურდებოდა ვიზიტის პერიოდში ინტერვიურებითა და შექმნილი მრავალფეროვანი თვალსაჩინო პროდუქტებით.
საბჭოს თავჯდომარემ იმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრი ზვიად გოგუაძე დაინტერესდა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა რაოდენობით და მათი მხარდაჭერის მიზნით რაიმე განსაკუთრებულ ღონისძიებას ხომ არ ატარებდა სკოლა.
სკოლის დირექტორმა, ლანა ფერაძემ აღნიშნა, რომ სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ცხრა მოსწავლე ირიცხებოდა. ხოლო ექსპერტმა, ნინო თაბაგარმა აღნიშნა, რომ მათი მხრიდან ნანახი იყო სსსმ მოსწავლეთა ნახატების გამოფენა, მათ შორის სკოლას ჰქონდა სრულად ადაპტირებული გარემო და ადაპტირებული კომპლექსური დავალებები.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლის სამოქმედო გეგმა იყო კარგად შექმნილი და მან მისცა რჩევა სკოლას, რომ შემდგომი სამოქმედო გეგმის შექმნისას მეტი ყურადღება გაემახვილებინათ სვოტ ანალიზზე.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა, შენობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების მიმართულებით რა ეტაპზე იყო სკოლა.
სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით დარჩენილი იყო მხოლოდ შესყიდვების პროცედურა, ხოლო შენობის მდგრადობასთან დაკავშირებით სკოლას ჰქონდა მიწერილობა სამხარაულის ეროვნულ ბიუროსთან.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან დაწესებულებას არ ჰქონდა შენობა-ნაგებობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნები. შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლას (ს/კ: 218049092) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის,

			პროგრამის განხორციელების ენა	ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი სკრა, 22-ე ქუჩა N11
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი სკრა, 22-ე ქუჩა N11
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი სკრა, 22-ე ქუჩა N11

3. სსიპ - თბილისის კლასიკური გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. საბჭოს წევრებმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა და ქეთევან ნატროშვილმა განმარტეს, რომ ვერ მიიღებდნენ აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას სკოლასთან არსებული ინტერესთა კონფლიქტის გამო. საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი თანამშრომლობდა სკოლასთან, ხოლო საბჭოს წევრი ეკატერინე კვირიკაშვილი იყო საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობდა აღნიშნული სკოლა.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, გულნარა ხაბურზანიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 28 და 29 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირ N10-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 2200 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა მრავალი წარმატებული პროექტი, მათ შორის ერთ-ერთი გახლდათ სკოლის კურსდამთავრებულთა გაერთიანება, რომელიც აერთიანებდა იმ ადამიანებს, რომლებიც სხვადასხვა სფეროში

მოღვაწეობდნენ და საკუთარი წვლილი შეჰქონდათ სკოლის განვითარებაში, ასევე სკოლის დაწყებითი კათედრის მიერ შექმნილი იყო დამატებითი საგანმანათლებლო რესურსი ლოგიკის სახელმძღვანელოს სახით. გარდა ამისა, სკოლაში ფუნქციონირებდა მომღერალთა გუნდი. სხვა მრავალ დადებით გამოცდილებასთან ერთად, ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა მუზეუმი, სადაც განთავსებული იყო სკოლის ისტორიასთან დაკავშირებული ფოტომასალა.
ექსპერტმა, გულნარა ხაბურზანიამ აღნიშნა, რომ 1-ლი; მე-2; მე-3 და მე-4 სტანდარტები შეფასდა როგორც „სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა კომპონენტი 3.4 (ადამიანებისა და პროექტების უსაფრთხოება) შეფასებული იყო “მეტწილი” შესაბამისობით.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლას საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 1 ოქტომბრის N3/181 ბრძანებით მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი დაინტერესდა თუ რა ნაბიჯების გადადგმა იგეგმებოდა სკოლის მხრიდან ექსპერტების მიერ გაცემული რჩევების გათვალისწინებისთვის.
სკოლის დირექტორმა, თამუნა კაპანაძემ აღნიშნა, რომ საავტორიზაციო ვიზიტმა სკოლას მისცა შესაძლებლობა უკეთ დაენახათ სუსტი და ძლიერი მხარეები, თუ რისი გამოსწორება იქნებოდა უკეთესი, შესაბამისად აღნიშნულ რჩევებზე მუშაობა სკოლას დაწყებული ჰქონდა.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
ცენტრის წარმომადგენელმა მიმართა საბჭოს და განაცხადა, რომ სკოლამ ცენტრს მიმართა წერილით, რომლითაც იუწყებოდა რომ სკოლა მზად იყო საგანმანათლებლო საქმიანობა გაეწია 2400 მოსწავლისთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა ექსპერტებს, თუ შეძლებდა სკოლა მისი მატერიალური და ადამიანური რესურსით მოსწავლეთა აღნიშნული რაოდენობისთვის გაეწია საგანმანათლებლო საქმიანობა. რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის კლასიკური გიმნაზიის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2400 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“

ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, სსიპ - თბილისის კლასიკური გიმნაზიას (ს/კ: 203853883) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2400 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, რუსთაველის გამზირი 10
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, რუსთაველის გამზირი 10
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	გქალაქი თბილისი, რუსთაველის გამზირი 10

საბჭომ 3.4 შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე, კერძოდ შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნი წარმოდგენა.

17:05 საათზე საბჭოს წევრებმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა და ნატო გაბოშვილმა დატოვეს საბჭოს სხდომა.

4. სსიპ - მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხუმარის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად,

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 07 და 08 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა მესტიის მუნიციპალიტეტში, სოფელ ცხუმარში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 150 მოსწავლეს. ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე, შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 100 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ 1-ლი და მე-4 სტანდარტები შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 სტანდარტი (სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა) შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, რადგან კომპონენტი 2.2 (კურიკულუმების განხორციელება) შეფასდა მეტწილად, ხოლო მე-3 სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივი“ შესაბამისობით, ვინაიდან 3.1 (პერსონალის მართვა), 3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება), 3.5 (მატერიალური რესურები და ინფრასტრუქტურა) და 3.6 (საინფორმაციო რესურსები) კომპონენტები შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

ექსპერტმა განმარტა, რომ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლამ წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმებისა და გამოკვლევის აქტი, პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები და დამტკიცების ბრძანება, ასევე ექთნის აყვანის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. გარდა ამისა, სკოლამ წარმოადგინა შენობის მდგრადობის დოკუმენტი, რომელშიც ასახული იყო, რომ სკოლის სასწავლო კორპუსის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი და ექსპლუატაციისთვის უსაფრთხო იყო, თუმცა სკოლის სპორტული დარბაზის ტექნიკური მდგომარეობა გახლდათ არადამაკმაყოფილებელი, საჭიროებდა გამაგრება-გაძლიერებით სამუშაოებს, თუმცა შენობის დაზიანებათა და ფიზიკური ცვეთის გათვალისწინებით, მისი აღდგენა არ იყო მიზანშეწონილი. სკოლას ექსპერტთა მხრიდან, მიეცა რეკომენდაცია, რომ სპორტული დარბაზი სპორტული აქტივობებისთვის არ გამოეყენებინა.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხუმარის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 100 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხუმარის საჯარო სკოლას (ს/კ: 235894476) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 100 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	მესტია, სოფელი ცხუმარი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	მესტია, სოფელი ცხუმარი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	მესტია, სოფელი ცხუმარი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ნოემბრიდან; **მონიტორინგის განხორციელების ფორმა -** ადგილზე ვიზიტი; **მონიტორინგის ფარგლები -** მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

საბჭომ 3.1, 3,4, 3.5 და 3.6 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება და აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა 2025 წლის ნოემბრამდე, კერძოდ 3.1 კომპონენტთან მიმართებით „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ და საქართველოს მთავრობის №463 დადგენილებით განსაზღვრული ცნობები „უფლების ჩამორთმევის შესახებ“ 2020 წლის შემდგომ დასაქმებული პერსონალისთვის.
ასევე, სკოლამ უნდა განსაზღვროს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში (ბრძანება N41, 06.09.2023 წ) აღნიშნული ცნობების წარმოდგენის ვალდებულება; უზრუნველყოს ტექნიკური პერსონალის პირადი საქმეების მოწესრიგება; 3.4 კომპონენტთან მიმართებით, წარმოადგინოს ვიდეო სამეთვალყურეო კამერების დამატების

დამადასტურებელი დოკუმენტაცია, უფლებამოსილ ორგანოსთან/ პირთან შეთანხმებული სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. 3.5 კომპონენტთან დაკავშირებით უზრნველყოს სკოლის შშმ პირთათვის სრულად ადაპტირების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა. 3.6. კომპონენტთან მიმართები კი ვებგვერდის გამართული ფუნქციონირება და სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციის სრულად განთავსების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. გარდა ამისა, სპორტული დარბაზის მოწესრიგება სპორტის გაკვეთილების ჩასატარებლად.

5. სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჰერეთისკარის საჯარო სკოლის ავტორიზაციი ს საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ვერა ყურულაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჰერეთისკარის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 12 და 13 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, სოფელ ჰერეთისკარში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 150 მოსწავლე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია), სტანდარტი 3 (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და სტანდარტი 4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. მე-2 სტანდარტის (სასკოლო კურიკულუმი) დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისა შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. ექსპერტის განცხადებით საბაზო და საშუალო საფეხურზე კომპონენტი 2.2 „მეტწილად“ შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს. ასევე „მეტწილად“ შესაბამისი იყო კომპონენტი 3.4.
ექსპერტმა, ვერა ყურულაშვილმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილად“, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

ექსპერტმა, ვერა ყურულაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლაში ხშირად ტარდებოდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები. ექსპერტის განცხადებით სკოლა იყო სრულად ადაპტირებული როგორც პანდუსებით, ისე ლიფტით.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ აღნიშნა, რომ სკოლის მხრიდან წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ბევრი იყო მოსწავლისთვის სტატუსის შეჩერების ბრძანება. ზვიად გოგუაძემ სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, ერთხელ მაინც თუ ჰქონდა სკოლას მიმართვიანობა სოციალურ სამსახურთან. სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლაში არსებობდა აღნიშნული პრაქტიკა და სკოლას ჰქონდა მიმართვიანობა სოციალურ სამსახურთან ყველა ასეთი შემთხვევის დროს.
საბჭოს წევრმა შალვა მეკრავიშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნის თანახმად სკოლას ჰქონდა საკადრო პრობლემები. კერძოდ, არ ჰყავდა მასწავლებლები სხვადასხვა საგანში. საბჭოს წევრმა შალვა მეკრავიშვილმა სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, თუ ჰქონდა აღნიშნულთან დაკავშირებით გეგმა. სკოლის დირექტორმა, მარინე ნანდოშვილმა აღნიშნა, რომ დასახელებული პრობლემა მოცემული დროისთვის უკვე აღმოფხვრილი იყო. სკოლას ჰქონდა ვაკანსია მუსიკისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებლის ვაკანსიაზე და მასწავლებელი ორივე პოზიციისთვის უკვე შერჩეული იყო.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივ ექსპერტს მიმართა კითხვით, იკვეთებოდა თუ არა კურიკულუმებში ლაბორატორიის საჭიროება. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ლიანა ქოქიაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ნათლად ჩანდა ლაბორატორიების საჭიროება. კურიკულუმებში მოცემული იყო სხვადასხვა აქტივობები და კვლევები, რომლებიც საჭიროებდა სკოლაში ლაბორატორიის არსებობას.
სკოლის დირექტორმა მარინა ნანდოშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას შესაბამის სამსახურთან ჰქონდა მიწერილობა ვირტუალურ ლაბორატორიასთან დაკავშირებით და მოცემული დროისთვის სკოლა ელოდებოდა აღნიშნულის დაკმაყოფილებას. სკოლის დირექტორის განცხადებით სკოლა მონაწილეობდა ერთ-ერთ პროექტში, რომელის ფარგლებშიც მიღწეული წარმატების შემთხვევაში იგეგმებოდა ლაბორატორიის განახლება. სკოლის დირექტორმა ხაზი გაუსვა მოსწავლეთა ჩართულობას და აღნიშნა, რომ სკოლაში მოსწავლეების ხელით აქტიურად იქმნებოდა სხვადასხვა სახის რესურსი.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჰერეთისკარის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27- ე მუხლის მე-4 პუნქტის

შესაბამისად, სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჰერეთისკარის საჯარო სკოლას (ს/კ : 233137815) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150- ით.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჰერეთისკარი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჰერეთისკარი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჰერეთისკარი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი : 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა : ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები : სტანდარტი 2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).

საბჭომ 3.4 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე. კერძოდ: შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმისა და შენობა - ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნის წამროდგენა.

16:40 საათზე საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი, ნატო გაბოშვილი.

6. სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო გომის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ

აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა განაცხადა, რომ ის ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან აღნიშნულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნატალია ბეიტრიშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო გომის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 24 და 25 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა კასპის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვემო გომში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 150 მოსწავლე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია), სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი) და სტანდარტი 4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. სტანდარტი 3 (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტის განცხადებით კომპონენტები 3.1 და 3.4 „მეტწილად“ შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს.

ექსპერტმა, ნატალია ბეიტრიშვილმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილად“, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

ექსპერტმა, ნატალია ბეიტრიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლაში შესვლისთანავე იგრძნობოდა მზრუნველი გარემო. სკოლა გამოირჩეოდა მაღალი სანდოობით და კვალიფიციური კადრებით. ექსპერტის განცხადებით, სკოლა იყო სრულად ადაპტირებული, როგორც პანდუსით, ისე ლიფტით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა ყუთი - „ჩემი ხმა“, რომლის დახმარებითაც სკოლის ნებისმიერ მოსწავლეს და მშობელს ჰქონდა შესაძლებლობა საკუთარი მოსაზრება ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, მიეტანა დირექციამდე.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, რატომ მოხდა სკოლაში საზოგადოებრივი მეცნიერებებისა და სახელმწიფო ენის კათედრების გაერთიანება. სკოლის დირექტორმა, ეკატერინე კურტანიძემ აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით სკოლაში მხოლოდ ორი მასწავლებელი იყო დასაქმებული და თანამშრომლობის გაზრდის მიზნით სკოლამ მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული ორი კათედრის გაერთიანების თაობაზე. საბჭოს წევრი ზვიად გოგუაძე დაინტერესდა რომელი საგნის სპეციალისტი ასწავლიდა სამოქალაქო განათლებას. სკოლის დირექტორის განცხადებით სკოლაში აღნიშნულ საგანს სამოქალაქო განათლების მიმართულებით სერტიფიცირებული მასწავლებელი ასწავლიდა. ზვიად გოგუაძემ აღნიშნა, რომ კათედრების გაერთიანება ხდება

მაშინ, როდესაც კათედრაზე მხოლოდ ერთი ადამიანია და სკოლას მისცა რეკომენდაცია აღნიშნულის გათვალისწინებასთან დაკავშირებით. საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია დაინტერესდა რაში გამოიხატებოდა აღნიშნული კათედრების თანამშრომლობა. სკოლის დირექტორის განმარტებით მასწავლებლები ახორციელებდნენ საერთო პროექტებს.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა ყურადღება გაამახვილა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მიერ პრეზენტაციის დროს წარმოდგენილ ფოტო - მასალაზე, სადაც ჩანდა რომ სკოლის შენობაში არსებული კიბეები მოხატული იყო სხვადასხვა მათემატიკური ფორმულებით. საბჭოს წევრმა სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, ვისი იდეით და ვის მიერ განხორციელდა აღნიშნული. სკოლის დირექტორმა ეკატერინე კურტანიძემ აღნიშნა, რომ იდეა ეკუთვნოდა სკოლის ყოფილ დირექტორს, რომლის მონდომებით და სკოლის ხელოვნების მასწავლებლის ჩართულობით მოხდა სკოლის კიბეების შემოქმედებითად მოხატვა.
საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ ყურადღება გაამახვილა სკოლის მიერ წარმოდგენილ მდგრადობის დოკუმენტზე და სკოლას მიმართა კითხვით ჰქონდა თუ არა შემუშავებული რაიმე გეგმა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების გამოსწორების მიზნით. სკოლის დირექტორის განმარტებით აღნიშნული პრობლემა მოცემული დროისთვის ნაწილობრივ აღმოფხვრილი იყო სამშენებლო კომპანიის მიერ. საკითხის სრულად მოგვარებას სკოლა უახლოეს მომავალში გეგმავდა.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები საჭიროებდა დახვეწას და განვითარებას და სკოლას მისცა რეკომენდაცია აღნიშნულის გათვალისწინებასთან დაკავშირებით.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო გომის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27- ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო გომის საჯარო სკოლას (ს/კ : 232550619) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150 - ით.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)

1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	კასპის მუნიციპალიტეტი სოფელი ქვემო გომი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	კასპის მუნიციპალიტეტი სოფელი ქვემო გომი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	კასპის მუნიციპალიტეტი სოფელი ქვემო გომი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი : 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა : ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები : სტანდარტი 2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).

საბჭომ 3.1 და 3.4 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე. კერძოდ: შენობა-ნაგებობის სახანძრო - უსაფრთხოების შესახებ დასკვნა და პერსონალის პირად საქმეებში გასათავსებელი ცნობების: სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ, უფლების ჩამორთმევის შესახებ და ნასამართლეობის შესახებ, წარმოდგენა.

7. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ არლის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მარინე ჯანაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ადიგენის

მუნიციპალიტეტის სოფელ არლის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 11 და 12 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფელ არალში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 192 მოსწავლე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია), სტანდარტი2 (სასკოლო კურიკულუმი), სტანდარტი 3 (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და სტანდარტი 4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტის განცხადებით კომპონენტი 3.4 „მეტწილად“ შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს.

ექსპერტმა, აღნიშნა, რომ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილად“, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

ექსპერტმა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის ფარგლებში აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა 111 წლიანი ისტორია და მუდმივად ცდილობდა ყოფილიყო წარმატებული. ექსპერტის განცხადებით, სკოლას ჰქონდა ახალი და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურა. სკოლას ჰყავდა კვალიფიციური და მოტივირებული თანამშრომლები. ექსპერტის განცხადებით, სკოლაში არსებობდა ღვაწლმოსილი მასწავლებლისთვის ვარსკვლავის გახსნის პრეცენდენტი. ექსპერტმა ხაზგასმით აღნიშნა სკოლაში მათემატიკის კლუბის მუშაობა და განაცხადა, რომ მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო კონკურსში და საბერძნეთში გამართეს მათემატიკური თეატრალური წარმოდგენა. სკოლაში ასევე აქტიურად ფუნქციონირებდა სამოქალაქო განათლების კლუბი, ეკო-კლუბი და ხელოვნების კლუბი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდებოდა სხვადასხვა სახის პროექტები და აქტივობები.

ექსპერტის განცხადებით სკოლის მოსწავლეებმა ჩაატარეს ეთნოგრაფიული კვლევა თემის ცხოვრებასა და ისტორიაზე და მოიპოვეს პირველი ადგილი საქართველოს მასშტაბით განხორციელებულ კონკურსში. ექსპერტის განცხადებით აღნიშნულ პროექტში მოსწავლეებმა აქტიურად ჩართეს სასკოლო თემიც.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა ექსპერტს მიმართა კითხვით ჰქონდა თუ არა სკოლას რესურსოთახი. ექსპერტმა მარინე ჯანაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული მრავალფეროვანი რესურსებით აღჭურვილი რესურსოთახი. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ სკოლა იყო სრულად ადაპტირებული.

საბჭოს წევრმა ზვიად გოგუაძემ ყურადღება გაამახვილა მეოთხე სტანდარტზე და ექსპერტებს მიმართა თხოვნით, გაეზიარებინათ მოსაზრება 4.1 კომპონენტთან მიმართებით მოსწავლეთა უფლებების დაცვის ნაწილში. ექსპერტმა მარინე ჯანაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას შენობაში საჯაროდ ჰქონდა წარმოდგენილი მოსწავლეთა უფლებების შესახებ ინფორმაცია. ექსპერტის განცხადებით ხშირი იყო სკოლაში სხვადასხვა სახის გამოკითხვები.

საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ ყურადღება გაამახვილა სკოლაში მათემატიკის კუთხით არაფორმალური განათლების საკითხზე და სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით რა სახით ხდებოდა სკოლაში არაფორმალური განათლების ხელშეწყობა და ჰქონდა თუ არა სკოლას ამ მიმართულებით მიღწევები. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა მარო ჩხიტუნიძემ აღნიშნა, რომ სკოლაში დასაქმებული იყო ძალიან აქტიური მათემატიკის მასწავლებელი, რომელიც ახორციელებდა მრავალფეროვან პროექტებს. მარო ჩხიტუნიძის განცხადებით, სკოლის მოსწავლეები ხშირად და დიდი წარმატებით მონაწილეობდნენ მათემატიკურ ოლიმპიადებში.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ არლის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 192-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ არლის საჯარო სკოლას (ს/კ : 222727949) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 192- ით.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი არალი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი არალი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი არალი

საბჭომ 3.4 შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე. კერძოდ: შენობა- ნაგებობის სახანძრო- უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, ასევე, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში წყლისა და გამწოვის დამონტაჟების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

8. სსიპ - ქალაქ მარნეულის N5 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თამარ ხეჩიკაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, სსიპ - ქალაქ მარნეულის N5 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 11 და 12 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ მარნეულში, რუსთაველის ქუჩა N52-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 1156 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1156 მოსწავლისთვის.
თამარ ხეჩიკაშვილის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა როგორც „ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“ კომპონენტები 3.1 და 3.4 კი ასევე შეფასებული იყო ”მეტწილი“ შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მეორე და მეოთხე სტანდარტს ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა განაცხადა რომ სკოლამ 2023 წლის 3 აგვისტოს განცხადებით მიმართა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს შენობა-ნაგებობის მდგრადობის თაობაზე. 2023 წლის 21 სექტემბერს მიიღო კორესპონდენცია, სადაც აღნიშნული იყო, რომ შენობის ტექნიკური მდგრადობა შეფასებული იყო დამაკმაყოფილებლად, თუმცა კორესპონდენციაში ასევე აღნიშნული იყო, რომ სკოლის შენობაზე ფიქსირდებოდა ლოკალური ხასიათის დაზიანებები, რომლებიც საფრთხეს არ უქმნიდა შენობის მდგრადობას, თუმცა სკოლის შენობის შემდგომი ხანგრძლივი უსაფრთხო ექსპლუატაციისთვის საჭირო იყო

დროულად ჩატარებულიყო გაძლიერებითი სამუშაოები სეისმომედეგობის გასაზრდელად. დასკვნაში ასევე აღნიშნული იყო, რომ სკოლის გარშემო უნდა მოწესრიგებულიყო სარინელი და წყალშემკრები სისტემა, რათა გამორიცხულიყო ზედაპირული წყლების ჩადინება სარდაფში, საძირკველსა და ფუძეში. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლამ 2023 წლის 17 ოქტომბერს მიმართა სსიპ- საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს და სთხოვდა დახმარება. 2023 წლის 19 ოქტომბერს აღნიშნულთან დაკავშირებით ინფრასტრუქტურის სააგენტოს მიერ მარნეულის რესურსცენტრს გადაეგზავნა საპასუხო წერილი, რომ ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ მომავალი სამოქმედო გეგმის ფორმირების პროცესში გათვალისწინებული იქნებოდა სსიპ - ქალაქ მარნეულის №5 საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურული სამუშაოების საკითხის განხილვა.

ექსპერტმა ასევე განმარტა, რომ სკოლას ჰყავდა ექიმი, რომლის კვალიფიკაციას არ შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ და საბჭოს წევრმა ზვიად გოგუაძემ ექსპერტსა და სკოლის წარმომადგენელს სთხოვეს მეტი დეტალი წარედგინათ ექიმის აყვანასთან დაკავშირებით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა ექიმი სპეციალობით სტომატოლოგი, მას გავლილი ჰქონდა კურსები მხოლოდ ეპიდემიოლოგიის საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებით.

სკოლის დირექტორმა ლელა ხარშილაძემ განაცხადა რომ აღნიშნული კადრისა აყვანა მოხდა 2021 წელს, ამჟამად ის ისევ მუშაობდა სკოლაში და მის მოვალეობას ასრულებდა მოთხოვნების შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა რომ ექსპერტთა ჯგუფს მეორე სტანდარტთან დაკავშირებით გაცემული ჰქონდა მნიშვნელოვანი რჩევები და სთხოვა სკოლის დირექტორს დაეზუსტებინა როგორ აპირებდა აღნიშნულის გათვალისწინებას.

სკოლის დირექტორმა, ლელა ხარშილაძემ, განაცხადა, რომ სკოლამ უკვე განიხილა დასკვნაში მოცემული რჩევები, დაგეგმა პროცესები და აპირებდნენ ყველა მათგანის გათვალისწინებას.

საბჭოს წევრმა მორის დანდურიშვილმა რჩევის სახით სკოლას განუცხადა, რომ უნდა გადაეხედათ წარმოდგენილი საბიბლიოთეკო წესისათვის და შეეტანათ საჭირო ცვლილებები. მაგალითად: სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესში მითითებული იყო, რომ მკითხველი რომელიც დაარღვევდა ბიბლიოთეკით სარგებლობის წესს, მას ეკრძალებოდა ბიბლიოთეკით სარგებლობა. დასაზუსტებელი იყო რა ვადით.

სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ აღნიშნულს გამოასწორებდა სკოლა უახლოეს პერიოდში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ მარნეულის N5 საჯარო სკოლისავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1156-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტების შესაბამისად,სსიპ - ქალაქ

მარნეულის N5 საჯარო სკოლას(ს/კ: 234223051) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1156 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი მარნეული, რუსთაველის ქუჩა N52
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი მარნეული, რუსთაველის ქუჩა N52
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი მარნეული, რუსთაველის ქუჩა N52

საბჭომ 3.1 და 3.4 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა და კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმის დასაქმება.

9. სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ განაცხადა, რომ ის ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან აღნიშნულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი, სკოლა მდებარეობდა იმ საგანმანათლებლო რესურსცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე, რომლის უფროსიც იყო საბჭოს წევრი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა

საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თამარ აბაზაძემ. ექსპერტმა განაცხადა, სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის N3 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 18 და 19 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ ხაშურში, შოთა რუსთაველის ქუჩა N50-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 1000 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1000 მოსწავლისთვის.

თამარ აბაზაძის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე სტანდარტები შეფასებული იყო, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. მესამე სტანდარტის კომპონენტი 3.5 კი შეფასებული იყო „მეტწილი“ შესაბამისობით.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ "შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა ასევე ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ხაშურის N3 საჯარო სკოლაში დასაქმებულები იყვნენ მოტივირებული მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული პედაგოგიური გუნდი. პედაგოგთა უმრავლესობა ჩართული იყო არაერთ საერთაშორისო პროექტში. ამ პროექტებში ჩართულობით პედაგოგები იღებდნენ და უზიარებენ ერთმანეთს ახალ ცოდნას, გამოცდილებას და ცდილობდნენ ყოველი სიახლე დაენერგათ სასკოლო სივრცეში. სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობისათვის, სკოლაში ფუნქციონირებდა მშობელთა სათათბირო რგოლი, რაც გულისხმობდა მშობელსა და სკოლას შორის რეგულარულ, ორმხრივ, შედეგზე ორიენტირებულ თანამშრომლობას. სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ხაშურის N3 საჯარო სკოლაში, მშობელი იყო სკოლის სრულუფლებიანი წევრი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და ითხოვა დაეზუსტებინა გაითვალისწინა თუ არა მეორე სტანდარტთან, კერძოდ კურიკულუმებთან დაკავშირებული რჩევები.
სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლამ უკვე გაითვალისწინა აღნიშნული საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
სსიპ- ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის N3 საჯარო სკოლისავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1000-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ- ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის N3 საჯარო სკოლას(ს/კ: 243874811) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1000 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ. ხაშური, შოთა რუსთაველის ქ. N50.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ. ხაშური, შოთა რუსთაველის ქ. N50.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ. ხაშური, შოთა რუსთაველის ქ. N50.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, საბჭოს სხდომა 19:20 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
მოადგილე/საბჭოს სხდომის თავმჯდომარე
მამსიკაშვილი თამარი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა